

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №56

2014 წლის 29 დეკემბერი

ქ. ამბროლაური

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №24 დადგენილება (www.matsne.gov.ge; 31/07/2014წ; სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.172.016024)

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან.

ქალაქ ამბროლაურის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ასლან საგანელიძე

დანართი

ქალაქ ამბროლაურის 2015 წლის ბიუჯეტი

თავი I

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი.

დასახელება	2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	4.831.7	1.102.4	3.729.3
გადასახადები	80.0	0.0	80.0
გრანტები	4.681.7	1.102.4	3.579.3
სხვა შემოსავლები	70.0	0.0	70.0
ხარჯები	3.153.9	81.0	3.072.9
შრომის ანაზღაურება	459.0	36.0	823.0
საქონელი და მომსახურება	532.9	1.5	531.4
სუბსიდიები	1.160.9	43.5	1.117.4
გრანტები	238.8	0.0	238.8



სოციალური უზრუნველყოფა	294.8	0.0	294.8
სხვა ხარჯები	67.5	0.0	67.5
საოპერაციო სალდო	1.677.8	1.021.4	656.4
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1.719.3	1.021.4	697.9
ზრდა	1.729.3	1.021.4	707.9
კლება	10.0	0.0	10.0
მთლიანი სალდო	-41.5	0.0	-41.5
ფინანსური აქტივების ცვლილება	-41.5	0.0	-41.5
ვალუტა და დეპოზიტები	41.5	0.0	41.5
ზრდა	00	0.0	00
კლება	41.5	0.0	41.5
ვალდებულებების ცვლილება	00	0.0	00
კლება	00	0.0	00
ბალანსი	00	0.0	00

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 28.01.2015წ.
 ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 17.04.2015წ.

მუხლი 2. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
 განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება.

დასახელება	2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	4.841.7	1.102.4	3.739,3
შემოსავლები	4.831.7	1.102.4	3.729,3
არაფინანსური აქტივების კლება	10.0	0.0	10.0
ფინანსური აქტივების ზრდა	00	0.0	00
გადასახდელები	00	0.0	00
ხარჯები	3.153.9	81.0	3.072.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	1.729.3	1.021.4	707.9
ფინანსური აქტივების ზრდა	00	0.0	00
ვალდებულებების კლება	00	0.0	00
ნაშთის ცვლილება	00	0.0	00

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 28.01.2015წ.
 ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 17.04.2015წ.



მუხლი 3. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
 განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 4.831.7 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	4.831.7	1.102.4	3.729,3
გადასახადები	80.0	0.0	80.0
გრანტები	4.681.7	1.102.4	3.579,3
სხვა შემოსავლები	70.0	0.0	70.0

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 28.01.2015წ.
 ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 17.04.2015წ.

მუხლი 4. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები
 განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 80.0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	80.0	0.0	80.0
ქონების გადასახადი	113	80.0	0.0	80.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	75.0	0.0	75.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	0.0	0.0	0.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	0.0	0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირებიდან	1131141	0.0	0.0	0.0
იურიდიული პირებიდან	1131142	0.0	0.0	0.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	5.0	0.0	5.0
ფიზიკური პირებიდან	1131151	1.5	0.0	1.5
			0.0	
იურიდიულ პირებიდან	1131152	3.5	0.0	3.5

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 17.04.2015წ.

მუხლი 5. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
 განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 4.681.7 ათასი ლარის ოდენობით.



დასახელება	კოდი	2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	4.681.7	1.102.4	3.579,3
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული კრანტები	131	0.0	0.0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	4.681.7	1.102.4	3.579,3
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	3.660.3	81,0	3.579,3
გათანაბრებითი ტრანსფერი		3.579.3	0.0	3.579.3
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		81.0	81,0	00
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		0.0	0.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	1.021.4	1.021.4	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		0.0	0.0	0.0

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 28.01.2015წ.
 ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 17.04.2015წ.

მუხლი 6. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 70.0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	70.0	0.0	70.0
შემოსავლები საკუთრებიდან	141	0.0	0.0	0.0
პროცენტები	1411	0.0	0.0	0.0
რენტა	1415	0.0	0.0	0.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	0.0	0.0	0.0
შემოსავალი მიწის ოჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	0.0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	30.0	0.0	30.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	20.0	0.0	20.0
საწებართვო მოსაკრებელი	14223	1.0	0.0	1.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	142214	19.0	0.0	19.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	10.0	0.0	10.0



შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	10.0	0.0	10.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	40.0	0.0	40.0

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 17.04.2015წ.

მუხლი 7. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები
განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 3.214.6 ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	3.153.9	91.0	3.072.9
შრომის ანაზღაურება	859.0	36,0	823.0
საქონელი და მომსახურება	532.9	1.5	531.4
სუბსიდიები	1.160.9	43.5	1.117.4
გრანტები	238.8	0.0	238.8
სოციალური უზრუნველყოფა	294.7	0.0	294.7
სხვა ხარჯები	67.5	0.0	67.5

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 28.01.2015წ.
ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 17.04.2015წ.

მუხლი 8. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 1.719.3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1.719.3	1.021.4	697.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	1.729.3	1.021.4	707.9
არაფინანსური აქტივების კლება	10.0	0.0	10.0

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 28.01.2015წ.
ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 17.04.2015წ.

მუხლი 9. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში.



ფუნქციონალური კოდი	დასახელება	მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1.109.6	0.0	1.109.6
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1.109.6	0.0	1.109.6
70111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1.084.6	0.0	1.084.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	25.0	0.0	25.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	0.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	43.2	37.5	5.7
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	243.7	0.0	243.7
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	243.7	0.0	243.7
704	ეკონომიკური საქმიანობა	1.012.8	338.8	674.0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მონადირეობა	0.0	0.0	0.0
7045	ტრანსპორტი	427.8	338.8	89.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	427.8	338.8	89.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	585.0	0.0	585.0
705	გარემოს დაცვა	904.3	682.6	221.7
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	168.0	0.0	168.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	736.3	682.6	53.7
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	94.0	0.0	94.0
7061	ბინათმშენებლობა	0.0	0.0	0.0
7063	წყალმომარაგება	0.0	0.0	0.0
7064	გარე განათება	94.0	0.0	94.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0.0	0.0	0.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	156.3	43.5	112.8
7072	ამბულატორიული მომსახურება	112.8	0.0	112.8
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	43.5	43.5	0.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	787.8	0.0	787.8
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	351.0	0.0	351.0



7082 მომსახურება კულტურის სფეროში	416.9	0.0	416.9
7083 ტელერადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა	0.0	0.0	0.0
7084 რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობა	19.9	0.0	19.9
709 განათლება	359.6	0.0	359.6
7091 სკოლამდელი აღზრდა	262.1	0.0	262.1
7092 ზოგადი განათლება	97.5	0.0	97.5
710 სოციალური დაცვა	171.9	0.0	171.9
7101 ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	40.0	0.0	40.0
7103 მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	14.4	0.0	14.4
7104 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	20.3	0.0	20.3
7107 სოციალური გაუცხოების საკითხები რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	2.0	0.0	2.0
7109 სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	95.2	0.0	95.2
სულ	4.883.2	1.102.4	3.780.8

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 28.01.2015წ.
 ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 17.04.2015წ.

მუხლი 10. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 41.5 ლარის ოდენობით.

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 17.04.2015წ.

მუხლი 11. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 41.5 ლარის ოდენობით.

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 17.04.2015წ.

მუხლი 12. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 0,0 ლარის ოდენობით.

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 17.04.2015წ.

მუხლი 13. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 25.0 ათასი ლარის ოდენობით.

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 17.04.2015წ.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 81.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 43.5 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 37.5 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ



მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება.

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 17.04.2015წ.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 17.04.2015წ.

თავი II

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება.

1.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და შემდგომი გაუმჯობესება. ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისათვის დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯებიც.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა გზების მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია ზამთარში დიდთოვლობის დროს ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა. დაფინანსებული იქნება ქ.ამბროლაურში ასფალტირებული ქუჩების დახაზვისა და მარეგულირებელი ნიშნების მოწყობის სამუშაოები, ადმინისტრაციულ შენობამდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ქალაქ ამბროლაურში თამარ მეფის ქუჩაზე სანიაღვრე არხისა და ბეტონის საფარის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და ამავე ქუჩაზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება. გარე განათების მომსახურების გასაუმჯობესებლად შეძენილი იქნება სპეციალური ავტო-ტრანსპორტი.

2.2.1. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციისა და მიმდინარე შეკეთების ხარჯები. გარე განათებისათვის შეძენილი იქნება სპეციალური ავტოტრანსპორტი.

2.2.2. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ხეების მოჭრის სამუშაოები, სანიაღვრე არხების გაწმენდა ასევე ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება .

2.2.3. კეთილმოწყობის ღონისძიებები(პროგრამული კოდი 03.02 03)

აღნიშნული ითვალისწინებს:

დაფინანსებული იქნება ქ. ამბროლაურში ღვინის ქარხნის, ლუკოილის ავტოგასამართი სადგურის მიმდებარე სკვერების რეაბილიტაცია. რუსთაველის ქუჩაზე, გოგებაშვილის ქუჩაზე გზის გასწვრივ დამცავი ბეტონის კედლების მოწყობა. ქალაქის შემოსასვლელში ქალაქის აღმნიშვნელის ტრაფარეტის მოწყობა, ურავის ბინების წინ დამცავი ბეტონის კედლის და კიბის მოწყობა. კოსტავას ქუჩა №2- ში ყოფილი საგადასახადოს შენობის,მუსიკალური სასწავლებლის, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის,სპორტული დარბაზის და ყოფილი სასტუმროს სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია. მოსწავლე ახალგაზრდობის შენობის რემონტი, სამუსიკო და სამხატვრო სკოლის შენობის რეაბილიტაცია, ქალაქის აგრარული ბაზრის რეაბილიტაცია. ურავის ბინებთან ხელოვნურსაფარიანი სასპორტო მოედნის მოწყობა. საბავშვო ბაღის სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.2.4. კანალიზაციისა და სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)



ქალაქ ამბროლაურში ბრატისლავა-რაჭის, დვალის, ვაჟა-ფშაველას, ჭავჭავაძე-ხუციშვილის და აღმაშენებლის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საამშენებლო სამუშაოების განხორციელება. აგრეთვე ქალაქ ამბროლაურში საკანალიზაციო სისტემების მეორე ეტაპის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციისათვის სამუშაოების შესყიდვა, ჭავჭავაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდა საბავშვო ბაღების ხარჯების დაფინანსება. აგრეთვე დაფინანსდება სკოლისგარეშე განათლება.

3.1 სკოლამდელი და სკოლისგარეშე განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 1 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 140 -ზე მეტი აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღის სხვა მიმდინარე ხარჯებს.

3.2 მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01) (პროგრამული კოდი 04 02)

მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლების გაღრმავების მიზნით დაფინანსებულია სკოლისგარეშე აღმზრდელობითი ღონისძიების პროგრამა. პროგრამაში ჩართულია ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის 60-მდე მოსწავლე. პროგრამაში გათვალისწინებულია, მოსწავლეთა მოთხოვნის შესაბამისად კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები, როგორცაა თეატრალური, ლიტერატურის, აგრეთვე ბავშვთა მომზადება შემდეგ წრეებში: ზოგადი უნარ-ჩვევების, მათემატიკური, კომპიუტერული, რუსული, ინგლისური, გერმანული.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამის მიზანია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე, მისი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, სპორტის პოპულარიზაციასა და სპორტული პირობების შექმნა-განვითარებას, რათა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების განვითარება და გამოვლენა.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სექციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მოსწავლე-ახალგაზრდობას ჰქონდეთ შესაძლებლობა სპორტული ვარჯიშის განხორციელებისა თანამედროვე სპორტულ დარბაზებსა და მოედნებზე.

2015 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მეცადინეობები და შეჯიბრი შემდეგ სახეობებში:

- კალათბურთი
- ჭიდაობა
- ჭადრაკი
- მაგიდის ჩოგბურთი
- რაგბი
- შიდოკან კარატე
- ცურვა

დაფინანსდება პროგრამით გაწერილი ყველა სპორტული ღონისძიება და ხარჯები.

4.1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტულ სახეობათა სწავლების, სპორტსმენების საშეჯიბრო მივლინების ხარჯების, ასევე მუნიციპალიტეტის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისა და შეჯიბრებების დაფინანსება შეძენილი იქნება სპორტული ინვენტარი. ქვეპროგრამა განხორციელდება ა.ა.ი.პ. ამბროლაურის კომპლექსური სასპორტო სკოლის" სუბსიდირების გზით.

4.1.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჭიდაობის კლუბი ფალავანის“ ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ჭიდაობის განვითარების დაფინანსება, სადაც შედის მწვრთნელთა ხელფასები, სატურნირო მივლინების ხარჯები. ქვეპროგრამა განხორციელდება ა.ა.ი.პ.ი „ჭიდაობის კლუბი ფალავანი“-ს სუბსიდირების გზით.

4.1.3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის საცურაო აუზის“ ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ცურვის განვითარების დაფინანსება, სადაც შედის ა.ი.პ.ი. „ამბროლაურის საცურაო აუზის“ თანამშრომელთა ხელფასები და ხარჯები, აგრეთვე მოწყობა ექიმისა და მასაჟის ოთახი. ქვეპროგრამა განხორციელდება სუბსიდირების გზით.



4.1.4 . სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05.01.04)

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძველთა დაცვის, ახალგაზრდობის, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ინიციატივით, 2015 წელს სპორტული ღონისძიებების ფარგლებში გამართავს მართონს.

1. ტოქსიკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა.

2. ქალაქის მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობის ჩართულობა ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდაში. აღნიშნულ მართონში გარბენის შედეგების მიხედვით დაჯილდოვდება პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული, ასევე მართონის მონაწილეთაგან უხუცესი და ყველაზე ნორჩი მონაწილე.

გამარჯვებულები მიიღებენ სიგელს და ფულად ჯილდოს 100 (ასი) ლარის ოდენობით.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული გაგრძელების პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება კულტურული ღონისძიებები კერძოდ: სადღესასწაულო, გასართობი და სანახაობითი.

4.2.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ამბროლაურის კულტურის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული გაგრძელების პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება კულტურული ღონისძიებები კერძოდ: სადღესასწაულო, გასართობი და სანახაობითი.

2015 წლის განმავლობაში დაფინანსდება

- კულტურის სახლთან არსებული თეატრი და ანსამბლები;
- ბიბლიოთეკები;
- სახვითი ხელოვნების მუზეუმი;
- ძველთა დაცვის სამსახური;

4.2.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლის“ ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 02)

მუნიციპალიტეტში 2015 წელს გაგრძელდება ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამღლების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა.ა.ი.პ.ი „დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“, სადაც სწავლობს 125-მდე მოსწავლე. სკოლის დაფინანსება ხდება როგორც ბიუჯეტიდან ასევე მშობელთა შემონატანით. ქვეპროგრამა ხორციელდება სუბსიდირების გზით

4.2.3 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სამხატვრო სკოლის“ ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 03)

მუნიციპალიტეტში 2015 წელს გაგრძელდება ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამღლების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა.ა.ი.პ.ი „უჩა ჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“, სადაც სწავლობს 27-მდე მოსწავლე. სკოლის დაფინანსება ხდება როგორც ბიუჯეტიდან ასევე მშობელთა შემონატანით. ქვეპროგრამა ხორციელდება სუბსიდირების გზით

4.2.4. საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამის ფარგლებში კვლავ გაგრძელდება საგამომცემლო მომსახურების შესყიდვა, მუნიციპალიტეტში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და მოსახლეობისათვის აქტუალური ინფორმაციების გასაშუქებლად.

4.3. ახალგაზრდული და საზოგადოებრივი ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05,03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

4.3.1 ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული ინიციატივების წახალისების ქვე-პროგრამა (პროგრამული კოდი 05 03.01)

აღნიშნული ქვე-პროგრამის დაფინანსება შეწყვეტილია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 06 მარტის #422 განკარგულების „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ განსახორციელებლად.

4.3.2 ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული ღონისძიებათა დაფინანსების ქვე-პროგრამა (პროგრამული კოდი 05 03.02) აღნიშნული ქვეპროგრამა გულისხმობს:

ქალაქ ამბროლაურის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთათვის ღონისძიების (ექსკურსია, ბოლო ზარი) მოწყობა. დაფინანსება ერთი კალენდარული წლის განმავლობაში შეადგენს არაუმეტეს 1000(ერთი ათასი) ლარს. (აღნიშნული თანხა თანაბრად გადანაწილდება ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის N1 და N2 საჯარო სკოლებზე).

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის მუნიციპალიტეტის გარეთ, ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე (გარდა კულტურული ღონისძიებებისა) ინდივიდუალური მიწვევა, არაუმეტეს 50 ლარისა. დაფინანსების საერთო ლიმიტი ერთი კალენდარული წლის მანძილზე შეადგენს არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარის.

სატელევიზიო გადაცემა „ეტალონიში“ სკოლის მოსწავლეების მონაწილეობის დაფინანსება.

4.3.3 ქალაქ ამბროლაურის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ (პროგრამული კოდი 05 03.03)



ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია „ქალაქ ამბროლაურის საპატიო მოქალაქის“ წოდებას მიანიჭებს არაუმეტეს 5 ადამიანს.

4.3.4 ქვე-პროგრამა წოდებების მინიჭების შესახებ განათლების სფეროში (პროგრამული კოდი 05 03.04)

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობის, ჯანმრელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის (შემდგომში სამსახური) ინიციატივით, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში წესდება ჯილდოები და წოდებები. პროგრამის ფარგლებში ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს, განათლების სფეროში მიენიჭებათ წოდებები და გადაეცემათ ფულადი ჯილდოები.

პროგრამის მიზანია აღნიშნული სფეროს წარმომადგენლების შრომით ნაყოფიერების, პროდუქტიულობისა და მოტივაციის ამაღლება.

1. „წლის საუკეთესო აღმზრდელი“ – ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

2. „წლის პედაგოგი“ – ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

3. საჯარო სკოლების კურსდამთავრებულებს, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედალზე : კუსდათავრებულებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით ოქროს მედალოსანს, ხოლო 200 (ორასი) ლარის ოდენობით ვერცხლის მედალოსანს. დაჯილდოვებულთა რაოდენობას გადაწყვეტს სამსახური

4. საჯარო სკოლების ოთხ სოციალურად დაუცველ,წარჩინებულ მოსწავლეს-გადაეცემათ ლეპტოპი.თითო-სკოლიდან ორ-ორ მოსწავლეს.მოსწავლე შეირჩევა V-XI კლასის სოციალურად დაუცველ მოსწავლეთაგან.საუკეთესო აკადემიური მოსწრებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიანი ბაზიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.ინფორმაციის დამუშავებასა და კანდიდატების გამოვლენას უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახური.

4.3.5 ქვეპროგრამა: წოდებების მინიჭების შესახებ კულტურისა და სპორტის სფეროში (პროგრამული კოდი 05.03.05)

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობის, ჯანმრელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის (შემდგომში სამსახური) ინიციატივით, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში წესდება ჯილდოები და წოდებები. პროგრამის ფარგლებში ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს, კულტურისა და სპორტის სფეროში, გადაეცემათ ფულადი ჯილდო და მიენიჭებათ წოდებები.

პროგრამის მიზანია აღნიშნული სფეროს წარმომადგენლებს მოქალაქეების შრომითი ნაყოფიერების, პროდუქტიულობისა და მოტივაციის ამაღლება.

1. „წლის საუკეთესო კულტურის მოღვაწე“ – ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით. აღნიშნულ წოდებას მიიღებს კულტურის სფეროს მოღვაწე, რომელსაც გამოავლენს კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი, სამსახურთან ერთად.

2. „წლის ბიბლიოთეკარი“ – ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის საუკეთესო თანამშრომელს, თანამშრომელთა გამოკითხვით. გამოკითხვას უზრუნველყოფს სამსახური, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობასთან ერთად.

3. „წლის მკითხველი“ – ფულადი ჯილდო 200 (ორასი) ლარის ოდენობით. გამოვლინდება ორი „წლის მკითხველი“, აღნიშნული წოდება მიენიჭება საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკის ყველაზე აქტიურ მკითხველს. მონაცემებს შეისწავლის სამსახური.

4. „წლის საუკეთესო სპორტსმენი“ (18 წლამდე ასაკის) – ფულადი ჯილდო ინდივიდუალურ სახეობაში 300 (სამასი) ლარი. გუნდურ სახეობებში საუკეთესო გუნდს გადაეცემა ფულადი ჯილდო 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით. ინდივიდუალურ და გუნდურ სახეობებში კანდიდატს გამოავლენს სამსახური, შესაბამისი ა.ა.ი.პ.-ების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

სპორტსმენი, რომელიც მიწვეული იქნება საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიისგან მიიღებს პრემიას ერთი კალენდარული წლის განმავლობაში 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

5. „წლის მწვერთნელი“ - ფულადი ჯილდო 300(სამასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირში მოღვაწე მწვერთნელს, რომელსაც გამოავლენენ მწვერთნელები, ფარული კენჭისყრის საფუძველზე. კენჭისყრის ჩატარებას უზრუნველყოფს სამსახური.

6. „წლის მედიკოსი“ - ფულადი ჯილდო 300(სამასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ქალაქ ამბროლაურის სამედიცინო დაწესებულებებში მოღვაწე ექიმს ან ექთანს, რომელსაც აირჩევს ამ დაწესებულებების პერსონალი, ფარული კენჭისყრის საშუალებით. კენჭისყრის ჩატარებას უზრუნველყოფს სამსახური.

4.3.6. ქვე-პროგრამა: არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05. 03.06)

აღნიშნული ქვე-პროგრამის დაფინანსება შეწყვეტილია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 06 მარტის #422 განკარგულების „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ განსახორციელებლად.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ



მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძნობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯამრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

5.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის ერთიანადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯამრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსებას, კერძოდ:

1. გადამდებ-არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება.
2. ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორებზე მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან.
3. გარემოს, შრომის ,სასმელი წყლის, საკვების უსაფრთხოების დაცვის ხელშეწყობა.
4. ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით.
5. დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.
6. მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და გაძლიერება ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში.
7. პროფესიული ადამიანური რესურსების განვითარება , მოტივირება ად შენარჩუნება.
8. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციურ -სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
9. ჯანმრთელობის ადვოკატირება, კომუნიკაციის გაუმჯობესება, მოსახლეობაში საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობის წარმართვა, სოციალური მობილიზაციის ხელშეწყობა და საჭიროების შემთხვევაში მისი უზრუნველყოფა.
10. მტკიცებულებაზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება პროგრამა ხორციელდება სუბსიდირების გზით.

5.2 ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02) პროგრამა ითვალისწინებს

